წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

N 4 10

02/03/2020

მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-2, მე-4 პუნქტებისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა წალკის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ილია საბაძეს პირდაპირი განკარგვის წესით, წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (საძოვარი) გასცეს სარგებლობაში იჯარის ფორმით.

2. საიჯარო ქირის ღირებულება განისაზღვროს 14 (თოთხმეტი) ლარი 1 ჰა-ზე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

ი. გიგინეიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე